სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 99

2022 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N173/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 9 თებერვლის N17 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N596384, 06.06.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირველი ლოტის რანჟირებული სია ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართის N2 -ის შესაბამისად.

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2022 წლის 17 ივნისისა 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ჯაბა სამუშია

დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 6 ივნისის №99 ბრძანებით

2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის რანჟირებული სია

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	BRG-I-22-095	დავითგარეჯი და საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონა ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15
2	BRG-I-22-282	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებელები და სასაზღვრო ურთიერთობები - ჯავახეთი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15
3	BRG-I-22-958	საქართველო აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის, შირაქი-ივრისპირეთის მონაკვეთის, არქეოლოგიური ობიექტების იდენტიფიცირება, კვლევა და დოკუმენტირება მრავალშრიანი დისტანციური ზონდირებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
4	BRG-I-22-401	გარეჯის უდაბნოს კულტურის ძეგლების კვლევა - არქიტექტურული რუკა მცირე ანოტაციებით (ქართული, ინგლისური, რუსული), ექსპედიციის სამენოვანი ანგარიში და ბიბლიოგრაფია	საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი	14
5	BRG-I-22-105	კავკასიონის მთავარი ქედის სტრუქტურული ზონის ალპურამდელი კრისტალური სუბსტრატის რეგიონული მეტამორფიზმი და მაგმატიზმი ზემო სვანეთის ფარგლებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
6	BRG-I-22-500	საქართველოს საზღვრისპირა (ტრანსასაზღვრო)რეგიონების ზოგიერთი დიდი მყინვარის ფლუქტუაციის შესწავლა რეგიონული კლიმატური ცვლილებების ფონზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
7	BRG-I-22-457	საქართველოს სამხრეთი სახელმწიფო სასაზღვრო ზონის ლითოსფეროს სტრუქტურა, გეოდინამიკა და ევოლუცია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
8	BRG-I-22-505	მდ. მტკვრის აუზის (ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები) ვულკანური გეომემკვიდრეობა და	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	13

9	BRG-I-22-542	ალაზნის, როგორც აზერბაიჯანის სასაზღვრო მდინარის, წყალშემცველი აუზის მარაგების შესწავლა სტაბილური იზოტოპებისა და გეოლოგიური მოდელირების გამოყენებით, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
10	BRG-I-22-878	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემი: წარსული და თანამედროვეობა	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
11	BRG-I-22-767	შუბნის თემი- წარსული და თანამედროვეობა	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
12	BRG-I-22-425	"დედაბრული ხელით" შესრულებული ხელნაწერების როლი საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	12
13	BRG-I-22-384	ხევის ქრისტიანული კულტურის ძეგლები (ხუროთმოძღვრება, ეპიგრაფიკა, რელიკვიები)	ლომეკი	12
14	BRG-I-22-860	ჰიდროენერგეტიკული კაშხლების საყრდენ ზონებში ბეტონისა და ქანების ცვლილებების მონიტორინგი, შესაბამისი სტაბილიზაციის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
15	BRG-I-22-799	საქართველოს სასაზღვრო ტბების ბათიმეტრია, წყლის ხარისხის ანალიზი და ტურისტული პოტენციალის შეფასება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
16	BRG-I-22-358	კლიმატური ცვლილებების ფონზე ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტყის ეკოსისტემების ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასება და ბიომასისა და დეპონირებული ნახშირბადის მარაგების განსაზღვრა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12
17	BRG-I-22-304	ფეოდალური საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი (ადგილობრივი და მეზობელი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა და ინტეგრაცია)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
18	BRG-I-22-177	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტრანსსასაზღვრო მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ზონირება საშიში ბუნებრივი მოვლენების მიხედვით არსებული ინფრასტრუქტურის, კულტურული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაცვის და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
19	BRG-I-22-786	მარნეულის მუნიციპალიტეტის ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიების მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	11

20	BRG-I-22-107	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების აგრო და ტყის ბიოცენოზში ინვაზიური მავნებელ-დაავადებების მონიტორინგი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	11
21	BRG-I-22-102	მულტილინგვიზმი და მულტილინგვური განათლება საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
22	BRG-I-22-584	ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	11

დანართი N2

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 6 ივნისის №99 ბრძანებით

2022 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტში გამარჯვებული პროექტები

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	BRG-I-22-095	დავითგარეჯი და საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონა ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	BRG-I-22-282	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებელები და სასაზღვრო ურთიერთობები - ჯავახეთი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი